საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

MES 0 22 0000000911

14/04/2022

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 28 ივნისის N79 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 ივლისის N141/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 28 ივნისის N79 ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-16 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დასაქმებულის დაკავების, მისი ადმინისტრაციული პატიმრობის ან მისთვის ისეთი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემთხვევაში, რომელიც გამორიცხავს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებას,

აგრეთვე სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით, თანამშრომლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;“.

ბ) მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,3. შრომითი (სამსახურებრივი) უფლებამოსილების შეჩერების პერიოდში დასაქმებულს უნარჩუნდება თანამდებობრივი სარგო, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დასაქმებულისთვის თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნების საკითხს წყვეტს სამსახურის უფროსი.“.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება გაეგზავნოს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილეებსა და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

სსიპ მანდატურის სამსახური
უფროსი
გელაძე გელა